ი.ბ.ა. „თევდორე მღვდლის 53”–ის წევრთა კრების

ოქმი № 1

ქ. თბილისი 14 მარტი 2014წ.

შედგა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა “თევდორე მღვდლის 53”-ის საერთო კრება. კრებას ესწრებოდა ამხანაგობის ყველა 113 წევრი.
ამხანაგობის კრების თავმჯდომარე: – მაკა დანელია

დღის წესრიგი:

ი.ბ.ა. „თევდორე მღვდლის 53” -ის წევრების თანხმობის დაფიქსირება ქ. თბილისში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში „თევდორე მღვდლის 53” –ში, ასაშენებელ მრავალბინიან საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის კორექტირებაზე.

მოისმინეს:

კრების თავმჯდომარემ ამხანაგობის წევრებს განუმარტა, რომ საჭიროა ქ.თბილისში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თევდორე მღვდლის ქ. №53 –ში, ასაშენებელ მრავალბინიან საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის კორექტირება, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისა და სახლის ექსპლუატაციაში მიღებისათვის, რისთვისაც აუცილებელია ამხანაგობის წევრების თანხმობა.

კრების მონაწილეებმა განიხილეს მომხსენებლის წინადადება, გაეცნენ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ საბუთებს და ერთხმად

დაადგინეს:

მოამზადოს და მოიპოვოს ი.ბ.ა. „თევდორე მღვდლის 53” -ის თავმჯდომარემ ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რათა ამხანაგობამ მოახდინოს ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თევდორე მღვდლის ქ. №53–ში, ასაშენებელ მრავალბინიან საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის კორექტირება.

კრების თავმჯდომარე: მაკა დანელია

იბა”თევდორე მღვდლის 53”-ის თავმჯდომარე: ვაჟა მოდებაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140225698
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.03.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ოდილავაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილის ჟ. შარტავას ქ 7
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	378324
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	47515728648514

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შარტავას ქ.№7-ში. მომმართეს: **მაკა დანელიამ და ვაჟა მოდებაძემ.**

მათ მოითხოვეს ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება, მხარეს წაეკითხა ხმამაღლა და განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **მაკა დანელიამ (დაბ.12.12.1977წ., პირადი №42001000841) და ვაჟა მოდებაძემ (დაბ.30.07.1955წ., მცხ.ქ.თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპ.10ა, ბ.10, პირადი №01012002481) მომმართეს.**

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავისი ხელმოწერები, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 4.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქემედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების **31-ე მუხლისა** და დღგ. 1.72 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის №169-ე მუხლის პირველი ნაწილისა, აგრეთვე გადახდილია ელეტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, თანახმად სანოტარო მოქემედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი

ქ.ოდილავაძე